თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

„ვიძახეთ, ბიძინა მოგვხედავსო და ამან სულ დაგვიკიდა ფეხებზე, ჩვენ არავის ვახსოვართ!“

დევნილის სტატუსი და 22-წლიანი ცხოვრება „ფეკალიებში“

იხილეთ **მე-3 გვერდზე**

№16 (704) 19 - 25 მაისი, 2014 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

საარჩევნო სიების გამო წყალტუბოელი „მეოცნებეები“ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

ვის და რატომ არ პატიობენ „ნაციონალობას“?

„ჩვენს საარჩევნო სიებში ვერცერთი ყოფილი „ნაციონალი ვერ მოხვდება!“ — ამ დევიზით დაიწყო „ქართულმა ოცნებამ“ ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო სამზადისი. რამაც „ოცნების“ რეგიონალურ შტაბებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, რაც მოგვიანებით ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

აქციის მონაწილეები „ქართული ოცნების“ შტაბის უფროსთან, ჯემალ ფანცხავასთან შეხვედრას ითხოვენ, რომელიც აქციის მიმდინარეობის დროს, ოფისში იმყოფებოდა, თუმცა აქციის მონაწილეებთან შეხვედრაზე უარი განაცხადა.

განსაკუთრებით მწვავე მდგომარეობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში იყო. შტაბის წევრთა ნაწილი, წარსულის გამო, ერთმანეთს დაუპირისპირდა.

გაგრძელება **მე-2 გვერდზე**

არის თუ არა გენდერული ბალანსი დაცული პარტიათა ქუთაისურ სიებში?

როგორ აფასებენ ქალი კანდიდატები თავიანთ შანსს?

პოლიტიკური უფლებები რომ მოეპოვებინათ, „სუსტი სქესის“ წარმომადგენლებს საუკუნოვანი ბრძოლა დასჭირდათ. დღეს მათ უფლებებს კანონმდებლობა იცავს და აღიარებს.

თუმცა, ბოლო წლებში არა თუ უფლებების მინიჭებაზე, არამედ თანასწორობაზე გაჩნდა მოთხოვნა. მართალია, ქალი პოლიტიკაში დღეს აღარავის უკვირს, მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დღევანდელ რეალობაში ქართულ პოლიტიკაში ქალები კვლავ უმცირესობით არიან წარმოდგენილი.

როგორც ჩანს, საზოგადოება ჯერ კიდევ არაა მზად გენდერული თანასწორობისთვის, რისი თვალსაჩინო მაგალითიც „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისთვის“ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის დაწყებაა. ორგანიზაცია წინასაარჩევნო კამპანიის დროს საარჩევნო სუბიექტების მიერ დისკრიმინაციული გამონათქვამების მონიტორინგს განახორციელებს. განსაკუთრებული აქცენტი კი არჩევნებში მონაწილე კანდიდატი ქალების მისამართით გაკეთებულ დისკრიმინაციულ გამონათქვამებზე გაკეთდება.

„ჩვენი ქსელი იწყებს მონიტორინგს, რომელიც მხოლოდ ქალბატონებს არ შეეხება, თუმცა, მთავარ აქცენტს ჩვენ სწორედ მათზე ვაკეთებთ, რადგან, სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ქალბატონები ყველაზე ხშირად განიცდიან დისკრიმინაციას. ეს ყველაფერი ჩვენი მენტალიტეტიდან მოდის, რადგან, მამაკაცებს ჯერ კიდევ მიაჩნიათ, რომ ქალს არ შეუძლია, შეასრულოს ძლიერი როლი ნებისმიერ საზოგადოებრივ აქტივობაში,“ — ამბობს „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისთვის“ ხელმძღვანელი **თამარ კაციტაძე.**

გაგრძელება **მე-2 გვერდზე**

სექსუალური ორიენტაციის ფსიქოლოგია

ინტერვიუ ფსიქოლოგ სოფი ხარატთან

იხილეთ **მე-5 გვერდზე**

რამდენი ამომრჩეველია რეგისტრირებული ქუთაისში?

იხილეთ **მე-2 გვერდზე**

ესსეების კონკურსი — „დემოკრატია ჩემი ფანჯრიდან“

იხილეთ **მე-7 გვერდზე**

სკოლის დღიური

იხილეთ **მე-6 გვერდზე**

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „ჰოპული“; ტელ.: 790 927 927.
წიგნები
შენ გელოდება!
ქუთაისი, საავჭრო ცენტრი „ჰოპული“. წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

მაგისტრატი სასამართლო — რეფორმის წარმატებული ნაბიჯია!

ინტერვიუ ბაღდათის მაგისტრატ მოსამართლე, ციცინო მოსიძესთან

იხილეთ **მე-4 გვერდზე**

სასტიკი რეალობა — ახალგორელთა „უსახლო, უსტატუსო და უგვარო ქალაქი“, რომელსაც მხოლოდ დასახლება უწოდეს

იხილეთ **მე-3 გვერდებზე**

სკანვორდი — გვ. 7 | კროსვორდი — გვ. 7

PSnews.ge
ISSN 1987-7056

რამდენი ამომრჩეველია რეგისტრირებული ქუთაისში?

ქუთაისის №59-ე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ავთანდილ ოსეფაიშვილის განცხადებით, ქუთაისში, დაახლოებით, 155 000 ამომრჩეველია დარეგისტრირებული. როგორც ოსეფაიშვილი აღნიშნავს, სიების ფორმირება ჯერ კიდევ მიმდინარეობს. არსებული ამომრჩევლებიდან გარკვეულ ნაწილს სხვადასხვა სტატუსი მიენიჭება, მაგალითად, ჯარისკაცის სტატუსი, ასევე საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი.

თვითმმართველობის არჩევნების მნიშვნელობიდან გამომდინარე, არის ერთადერთი გამონაკლისი, როდესაც საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველები არჩევნებში ხმის უფლებით არ სარგებლობენ.

ოსეფაიშვილი ასევე აღნიშნავს, რომ სიები მაქსიმალურად დახვეწილი იქნება, ვინაიდან ამომრჩეველთა იდენტიფიკაციისთვის წელს პირველად სამაგიდო სიებში გამოიყენებენ ფოტოებს, ასევე მითითებული იქნება ამომრჩევლის სქესი, რაც არჩევნების გაყალბების შანსს ამცირებს.

ქუთაისში 127 უბნიდან წელს 123 იფუნქციონირებს. ერთი უბანი უმისამართოთა ხარჯზე შემცირდა (ის ამომრჩევლები, რომელთაც საცხოვრებელ ადგილად უმისამართო უწერიათ, ხმას იმ შემთხვევაში მისცემენ, თუ 28 მაისამდე საოლქო კომისიაში ფაქტობრივ მისამართს წარმოადგენენ), კოპიტნარის უბანი წყალტუბოს მუნიციპალიტეტს გადაეცა, ორი უბანი კი ამომრჩეველთა სიმცირის გამო გაერთიანდა.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge



მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი: ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“).
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401

გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37°. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

საარჩევნო სიების გამო წყალტუბოელი „მეოცნებეები“ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

ვის და რატომ არ პატიობენ „ნაციონალობას“?

პირველი გვერდიდან

თუმცა, წყალტუბოშო კოალიციის რიგებში ყოფილი „ნაციონალების“ ყოფნა დაპირისპირების მიზეზი მხოლოდ საარჩევნოდ არ გამხდარა. წყალტუბოელი „მეოცნებეები“ გასულ წელსაც აპროტესტებდნენ მომხდარს და აღნიშნავდნენ, რომ „გაოცნებებულმა“ „ნაციონალებმა“ მათი ადგილი დაიკავეს, რითაც კოალიციის ერთგული მებრძოლები „გაოცებულები“ დატოვეს.

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, საარჩევნო სიებში მოხვედრის სურვილი „მეოცნებეებში“ იმდენად დიდი იყო, რომ გასულ კვირას წყალტუბო ბრძოლის ველს დაემსგავსა.

ცენტრალურ მოედანზე, „ ქართული ოცნების“ შტაბის წინ, „ქართული ოცნების“ წყალტუბოს ორგანიზაციის წარმომადგენლებმა აქცია გამართეს.

„მეოცნებეებს“ ერთმანეთისგან შენობის წინ მობილიზებული საპატრულო პოლიცია იცავდა.

აქციის მონაწილეები „ქართული ოცნების“ შტაბის ხელმძღვანელობას 4-პუნქტიან მოთხოვნას უყენებდნენ: პარტიის წევრებისთვის საჯარო გახდეს 2013 წლის კონფერენციის ოქმი, პარტიული და მაჟორიტარული სიებიდან ამოღებულ იქნას „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრები, შეყვანილ იქნას პარტიულ სიაში „ოცნების“ აქტიური წევრები და შეიცვალოს დასახელებული „ქართული ოცნების“ გამგებლობის კანდიდატი.

„ოცნების“ განაწყენებულმა წევრებმა პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს, 2000 ადამიანზე მეტი ხელმოწერით წერილი მიწერეს, სადაც ითხოვენ მის მიერ დასახელებული გამგებლობის კანდიდატის, კონსტანტინე მამისეიშვილის სიიდან ამოღებას.

„ოცნების რეიტინგი დღითიდღე ეცემა, ყოფილი „ნაციონალებით“ არის სავსე ჩვენი პარტიის რიგები. ბიძინა ივანიშვილმა გვითხრა, რომ შეგვიძლია ჩვენთვის არასასურველი კანდიდატი სიიდან ამოვიღოთ, თუმცა ირაკლი ღარიბაშვილმა პირდაპირ ის კანდიდატი დაგვისვა, რომელიც არ მოგვწონდა. წყალტუბოში „ქართული ოცნება“ აუცილებლად დამარცხდება ამ არჩევნებში, ვინაიდან სიები ყოფილი „ნაციონალებით“ დააკომპლექტეს. ამ ეტაპზე ვითხოვთ, შეგვხვდეს „ქართული ოცნების“ წყალტუბოს შტაბის უფროსი ჯემალ ფანცხავა, გვანახოს სია, რომელიც, არ ვიცით, საიდან შეადგინა და მოგვცეს უფლება, ჩვენი არასასურველი კანდიდატი ამოვიღოთ ამ სიიდან. კონსტანტინე მამისეიშვილს ერთი წელია, არაფერი გაუკეთებია ამ ქალაქისთვის და მის უმოქმედობას კიდევ ვერ ავიტანთ,“ — აცხადებდნენ აქციის მონაწილეები.

შეგახსენებთ, რომ კონსტანტინე მამისეიშვილი გასული წლის ზაფხულში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლად დაინიშნა, რომელიც თანამდებობას ამჟამადაც იკავებს და გამგებლის პოსტიდან ცდილობს არჩევნებში გამარჯვებას.

როგორც ჩანს „ნაციონალობა“ მძიმე ხვედრი აღმოჩნდა ზესტაფონელი ყოფილი „ნაციონალებისთვისაც“.

საარჩევნო სიებში მათი ყოფნის გამო „ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციის“ ზესტაფონის ორგანიზაციის წევრებმა და აქტივისტებმა პარტია დატოვეს.

ბურჯანაძის პარტიიდან 15-მდე წევრი და 180-მდე აქტივისტი წავიდა. პარტიის დატოვების მიზეზად მათ ზესტაფონის ორგანიზაციის ხელმძღვანელად ყოფილი „ნაციონალის“, დავით ფერაძის, დანიშვნა დაასახელეს.

ნესტან ჩაგელიშვილი

არის თუ არა გენდერული ბალანსი დაცული პარტიათა ქუთაისურ სიებში?

როგორ აფასებენ ქალი კანდიდატები თავიანთ შანსს?

პირველი გვერდიდან

ქალების აქტიურობა პოლიტიკაში რომ მნიშვნელოვანია, ამის დასამტკიცებლად პარლამენტის უმცირესობის და უმრავლესობის ქალმა დეპუტატებმა, ქუთაისის მერიის და საკრებულოს წევრებმა, ჟურნალისტებთან ერთად, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე „თანასწორობის ხეივანი“ გახსნეს და სიმბოლურად 50 ძირი ნეკერჩხალი დარგეს.

გენდერული თანასწორობის მნიშვნელობაზე საუბრობს პარლამენტის ვიცე-სპიკერი **მანანა კობახიძეც**:

„ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, მეტი ქალბატონი მოხვდეს პარტიულ სიებში, ვიდრე აქამდე იყო თვითმმართველ ორგანოებში. ამის ხელშესაწყობად ნებაყოფლობითი კვოტა და წამახალისებელი ნორმაა მიღებული, რაც გულისხმობს: 10 დეპუტატიდან თუკი სამი ქალბატონი იქნება, ეს ფრაქცია მიიღებს დამატებით დაფინანსებას, მაგრამ მხოლოდ დაფინანსება არ უნდა იყოს წამახალისებელი, არამედ, ეს წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით უნდა მოხდეს. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ სიებში, რომელიც მალე იქნება წარმოდგენილი, ამ კუთხით გაუმჯობესებული მდგომარეობა იქნება.“

თუმცა, მიუხედავად კობახიძის სურვილისა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში „ქართული ოცნების“ პარტიული სიის შედგენისას გენდერული ბალანსის დაცვაზე ნაკლებადაა ნაფიქრი.

გაზეთი „P.S.“ დაინტერესდა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ქალები რა დოზით იქნებიან წარმოდგენილი. როგორც პარტიების მიერ მოწოდებული სიებიდან ჩანს, ამ კუთხით მდგომარეობა მეტ-ნაკლებად გაუმჯობესებულა.

სამედიცინო სფერო, საგანმანათლებლო დაწესებულება, ეკონომიკა და ინჟინერია – ეს ის ძირითადი სფეროებია, რომლის წარმომადგენელი ქალბატონები ეცდებიან, არჩევნებში კონკურენტი ძლიერი სქესის წარმომადგენლები დაამარცხონ.

„ქართული ოცნების“ ქუთაისის მაჟორიტარულ სიაში სამი მანდილოსანია. ლელა ქელბაქიანი – პროფესორი, ნატო ქათამაძე – „რესპუბლიკური პარტიის ქუთაისის ორგანიზაციის“ თავმჯდომარე, ირმა პეტრიაშვილი – პედაგოგი. რაც შეეხება პროპორციულ სიებს, „ოცნების“ ქუთაისურ შტაბში კანდიდატთა ვინაობას რატომღაც ამ დრომდე არ ასაჯაროებენ.

პროპორციულ სიებზე ჯერ არ საუბრობენ **„ნაციონალებიც“**. რაც შეეხება მაჟორიტარულს, „ნაციონალების“ სახელით მხოლოდ ექიმი ნატო ბაბუხადია იბრძოლებს.

მმართველი გუნდისა და საპარლამენტო ოპოზიციისგან განსხვავებით, 20-კაციან სიაში 8 ქალი (ცეცხლაძე ნათელა — ენდოკრინოლოგი, გვენეტაძე ლია — მეცნიერ-თანამშრომელი, ინასარიძე ციცინო — ეკონომისტი, მირიანოვა ოლია — ექთნის თანაშემწე, დევიძე მაია — მზარეული, ხიტიბაშვილი ლედი — საშუალო განათლება, ვაჩიბერაძე მანანა — ინჟინერი, გიორგაძე-ბილისეიშვილი თინათინი — მოლარე) ჰყავთ საარჩევნო ბლოკს **„არასაპარლამენტო ოპოზიციას“.** მეტიც, მათი სახელით ქალაქის პირველი პირობისთვის საარჩევნო მარათონში მამაკაცებისთვის მეტოქეობის გაწევას მაგდა (მიმი) გაბრიჩიძე შეეცდება.

ხელაძე მაია — ინჟინერი, ციბაძე ნელი — ფარმაცევტი, ხვედაძე თეა — ეკონომისტი, შათირიშვილი მარინე — პედაგოგი და ლაღაძე ბელა — ინჟინერი — ეს ქალბატონები **„ლეობორისტული“ პარტიის** სიით შეეცდებიან საკრებულოში მოხვედრას.

„პატრიოტთა ალიანსის“ ქუთაისის ორგანიზაციის საარჩევნო სიაში 8 ქალი კანდიდატია (მარინა სუპატაშვილი — ბუღალტერი, ციცინო ჯინჯიხაძე — ჟურნალისტი, გვალია ფატიმა — ბიოქიმიკოსი, ახვლედიანი ნანა — ინჟინერი, მამფორია სოფიო — მხატვარ-არქიტექტორი, წაქაძე ანა — ფარმაცევტი, აბულაძე თეა — აგრონომი, ნოდია ეკატერინე — ეკონომისტი).

სუსტი სქესის წარმომადგენლები საკუთარ თავზე მძიმე ტვირთის აღებას არ ერიდებიან და აღნიშნავენ, რომ კარიერაში წარმატების მიუხედავად, პოლიტიკაში მოსვლა ქუთაისელთა კეთილდღეობის გამო გადაწყვიტეს. როგორც აღნიშნავენ, გამარჯვების შემთხვევაში, ხალხის კეთილდღეობისთვის ბოლომდე იბრძოლებენ. თავიანთ შანსებსაც ოპტიმისტურად უყურებენ და აცხადებენ, საკრებულოში უმრავლესობით თუ ვერა, არც საგანგაშო უმცირესობით მოვლენ.

რაც შეეხება ადგილობრივ თვითმმართველობის ამჟამინდელ შემადგენლობას, ქუთაისის მერიაში 16 სამსახურის უფროსიდან, არცერთი არაა სუსტი სქესის წარმომადგენელი. ამჟამინდელი მოწვევის 24-წევრიან საკრებულოში კი მხოლოდ ორი ქალია დეპუტატი.

არის თუ არა საზოგადოების დაკვეთა გენდერული ბალანსის დაცვა და სურს თუ არა ქართულ საზოგადოებას გენდერულად დაბალანსებული საკრებულო, ამ კითხვებს პასუხი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების მიხედვით გაეცემა.

ნესტან ჩაგელიშვილი

„ვიძახეთ, ბიძინა მოგვხედავსო და ამან სულ დაგვიკიდა ფეხებზე, ჩვენ არავის ვახსოვართ!"

დევნილის სტატუსი და 22-წლიანი ცხოვრება „ფეკალიებში"

წყალტუბოში მდებარე სანატორიუმ „მეტალურგში" 22 წელია აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა ცხოვრობს. რეგიონული პრობლემების მედიატურით იქ ჩასულ ჟურნალისტებს, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა"-ს და სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ქსელის ორგანიზებით მოეწყო, საშინელი მდგომარეობა დაგხვდა.
სანატორიუმი, რომელიც თავის დროზე უამრავ დამსვენებელს იღებდა და თავს იწონებდა საინტერესო და ლამაზი არქიტექტურული დაგეგმარებით, დღეს განადგურებულია. შენობაში უკვე რამდენიმე წელია წყალი ჩამოდის, კედლები ძლიერ დაზიანებულია, კანალიზაციის პრობლემა კი დღემდე გადაუჭრელი საკითხია იქ მცხოვრებთათვის.



წყალტუბო, სანატორიუმი „მეტალურგი"

„P.S. ფოტო" (ლიკა ჩახუნაშვილი) ©

„P.S. ფოტო" (ლიკა ჩახუნაშვილი) ©

ლალი ბაბლიძე სანატორიუმში 1989 წლის ოქტომბერში შეასახლეს. ამბობს, რომ აქ ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია. ამ ეტაპზე კი ყველაზე დიდ პრობლემად კანალიზაციის საკითხი მიაჩნია.

„პრობლემების მეტი რა არის შვილო. ჭერი თავზე გვენგრევა, გვაწვიმს, კანალიზაციები გაჭედილია. კი ხედავთ, თავის დროზე რა კარგი შენობაა გაკეთებული, მაგრამ რად გინდა, არავის არ აინტერესებს. აქ 80 ოჯახამდე ცხოვრობს, ბავშვები არიან, ასეთ სანიტარულ პირობებში გაჩერდება ვინმე? ყველაფერი ნაგავი და უბედურობა „პადვალში" შემოგვდის. ახლა, როგორც კი დათბება, კოღოებით და კრაზანებით გაივსება ყველაფერი. შველას ვითხოვთ, მაგრამ — უშედეგოდ. დეპუტატებს მხოლოდ არჩევნებზე ვახსენდებით. ისე არავის ვახსოვართ. ხმებისთვის ვჭირდებით ყველა მთავრობას, ჩვენი დარდი ვის აქვს. სოციალურ დახმარებას ვიღებდი და მომიხსნეს. ჩემი გოგო სამი თვით თურქეთში გადავიდა. თუ არ გავინძერით შვილო, 45 ლარით თავს როგორ გავიტანთ. გასახლებები რომ დაიწყო, ჩვენი ოჯახი არ გაასახლეს. ექვსი ქულის ზევით ვინც დააგროვა, იმას შეხვდა ახალი საცხოვრებელი და მე რა უნდა ვქნა, ავარიულ ოთახებში რომ მიწევს ცხოვრება. ეს შენობა შიგნიდან, ძირითადად, ხისაა. იატაკი თითქმის დამპალია. სველი წერტილები არ გვაქვს, ოთახებში ვიბანთ, ვრეცხავთ და იატაკი რა მდგომარეობაში იქნება, წარმოგიდგენიათ?"

> „ყველა დროის მთავრობას მხოლოდ არჩევნებზე ვახსოვართ!"

ქალბატონი ლალი იმ დეკლარაციის შესახებაც გვესაუბრა, რომელიც დევნილების გასახლებას და ახალი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. ვისაც ოჯახში სამას ლარზე მაღალი შემოსავალი ჰქონდა, ის ვერ დაკმაყოფილდა ახალი საცხოვრებელი ფართით. ამ ქალბატონს კი შევსებული დეკლარაციის მიხედვით ათასლარიანი საშემოსავლო დაუდგინდა.

„სად მაქვს შვილო ათასი ლარი შემოსავალი. თავი ძლივს გაგვაქვს. უკანონობაა და მეტი არაფერი."

ზარქუა ლეილა თავს სოციალური დახმარებით ირჩენს. 156 ლარი ის თანხაა, რომელიც პროდუქტისა და წამლებისთვის უნდა გაანაწილოს.

„დაგვპირდა, შვილო, ბობოხიძე, გადაგიყვანთ ახალ სახლებშიო, მაგრამ ეს ახალი მთავრობა რომ მოვიდა, ყველაფერი აირია. არაფერი ჩვენთვის არ არის. ვიძახეთ, ბიძინა მოგვხედავსო და ამან სულ დაგვიკიდა ფეხებზე. ჩვენ არავის ვახსოვართ."

დიანა შუბითიძე 17 წლისაა. ის სოხუმიდანაა. ქალაქი, სადაც ერთ დროს მისი მშობლები ცხოვრობდნენ, სურათებიდან იცის. ოცნებობს, რომ ერთხელ მაინც ნახოს სოხუმი. სანატორიუმში უამრავი მეგობარი ჰყავდა, მაგრამ ბევრი მათგანი ახალ საცხოვრებელში გადავიდა.

„ბავშვები ბევრი არ ვართ. ზოგი თბილისში წავიდა, ზოგი — ახალ სახლში გადავიდა. აქ რა მომავალი უნდა ჰქონდეს ახალგაზრდას, ყველაფერი ჩამკვდარია. მე კულინარიით ვარ დაინტერესებული და მინდა, ამ კუთხით გავაგრძელო სწავლა-განათლება. მამა არ მუშაობს, დედა მწვანილებში მუშაობს, რომ ცოტა შემოსავალი გვქონდეს."

ჟურნალისტების დანახვისას სანატორიუმის აივანზე გადმომდგარმა ქალბატონმა ირონიულად გაიცინა და თქვა: „22 წელია, არავინ დაინტერესებულა ჩვენი ცხოვრებით და კარგია, თქვენ თუ დაინტერესდით ჩვენი მდგომარეობით. ეს ქალბატონი ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარადანაა. ნელი ვეკუა 60 წლისაა და წუხს, რომ არცერთი ხელისუფლება მათზე არ ზრუნავს.

სანატორიუმ „მეტალურგში" გაზი შეყვანილი არ არის, წყალი სამ დღეში ერთხელ მოდის. დენის ტარიფთან დაკავშირებით კი, იქ მცხოვრებლები შეშფოთებულები არიან. საქმე ეხება საერთო მრიცხველს, რომლითაც სანატორიუმი სარგებლობდა, სულ მალე კი ყველა ოჯახს თავისი მრიცხველი ექნება.

სანატორიუმის პრობლემებით მივაკითხეთ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების, დევნილთა სამინისტროს იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსის მოადგილეს, **თენგიზ ასლანიკაშვილს.**

„მინდა გითხრათ, რომ უყურადღებოდ ნამდვილად არ არიან სანატორიუმში მცხოვრები დევნილები. ჩვენ შეძლებისდაგვარად ვცდილობთ მათ დახმარებას. რამდენიმე დღის წინ გავწმინდეთ იქ კანალიზაცია. რაც შეეხება გასახლების პროცესს, დაწყებულია მასიური მშენებლობები, რომელიც შემოდგომაზე დასრულდება და ეს საკითხიც მეტ-ნაკლებად მოგვარდება. ქუთაისში ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამი ობიექტის მშენებლობა, რომელიც შემოდგომაზე დასრულდება. ბინების მიღებას კი თან დაერთო ახალი პროცესი – ესაა ქულების მინიჭება. დღეს განსახლება ვერ მოხდება, თუ არ შეივსო განცხადება და თუ არ მოხდა ქულების მინიჭება. ამის უფლება ყველას აქვს და შემდეგ მოხდება შესაძლებლობის მიხედვით მათი დაკმაყოფილება, – გვეუბნება ბატონი თენგიზი, – მინდა გითხრათ, რომ სანატორიუმ „მეტალურგის" მსგავსად, ეს პრობლემები ყველგანაა და ვცდილობთ მოგვარებას. სახელმწიფოს აქვს სტრატეგიული გეგმა, რომელშიც გაწერილია, რომ თანდათან ყველა დევნილი უნდა დაკმაყოფილდეს. მართალია, პრობლემა დიდია „მეტალურგთან" დაკავშირებით, მაგრამ ველოდებით ექსპერტიზის პასუხს, თუ რამდენად ვარგისია ეს შენობა."

ფაქტია, რომ ვიდრე ხელისუფლების ეშელონებში ამ საკითხზე ისევ დაობენ და მსჯელობენ, დევნილ მოსახლეობას კვლავ მოუწევს მომავალი ცხელი ზაფხულის გატარება იმ შენობაში, სადაც საშინელი სუნი დგას და ფეკალურ მასას გაუდის „გუგუნი".

ლიკა ჩახუნაშვილი

მასალა მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა"-ს და სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ქსელის ორგანიზებით, მედიატურის ფარგლებში.

სასტიკი რეალობა — ახალგორელთა „უსახელო, უსტატუსო და უგვარო ქალაქი", რომელსაც მხოლოდ დასახლება უწოდეს

2008 წლის აგვისტოს ომი ქვეყანამ მწარედ იწვნია. დავკარგეთ ასობით ქართველი ჯარისკაცი, მშვიდობიანი მოქალაქე და მთავარი... მტერი მეზობელი ამჯერად ნაბიჯით კი არ შემოვიდა ჩვენს ტერიტორიაზე, არამედ მათი საზღვრები კილომეტრობით გაიზარდა ჩვენი მიწებით. შემდეგ კი, შესაბამისად, გაჩნდა ახალი დასახლებები.

წეროვანის დასახლებაში 2000-ზე მეტი კოტეჯია განთავსებული. ადგილი, სადაც ერთ დროს კოღოებისა და ჭაობების ნავსაყუდელი იყო, დღეს ერთ დიდ „ოჯახად" გადაქცეულა. სხვა რა შეიძლება, ვუწოდოთ ამ დასახლებას, როცა სტატუსი არ გააჩნია. არხები, წყალი, გზა, უმუშევრობა და ცხოვრება 400 კვადრატულ მიწის ნაკვეთზე – ერთ-ერთი მთავარი სატკივარია აქ ჩასახლებული დევნილებისთვის.

ვაჟა ხარაბაძე ხუთი წელია ამ დასახლებაში ცხოვრობს. ის ახალგორიდან 2008 წლის აგვისტოს ომს გამოექცა.

„ხალხი უმუშევარია, გადასახადებს ვერ ავუდივართ. ჩვენი შემოსავალი ყოველთვიური დახმარება 45 ლარია, ამ თანხით ოჯახი გამოვკვებო თუ გადასახადები გადავიხადო? ეს კოტეჯებიც არ არის ხარისხიანად გაკეთებული. ვისაც ჰქონდა საშუალება, გააკეთა, თავიდან გადახურა. მიწის ფართობი რომ მქონდეს, დავამუშავებდი და ნათესებს მოვიყვანდი. კი ხედავთ, რა ფართზეც ვხოვრობ, 400 კვადრატ მიწაზეა ეს კოტეჯი ჩადგმული. სამსახურის თაობაზე არაერთხელ მივმართეთ ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ, ამაოდ."

ვაჟა ხარაბაძე ახალგორში მიმოსვლის საკითხზეც გვესაუბრა და აღნიშნა, რომ არსებობს საბუთი „ფორმა ცხრა", რომლის საშუალებითაც თავის ძირძველ სახლს ორ კვირაში ერთხელ სტუმრობს.

ნუნუ მღებრიშვილი, რომელიც წეროვანის დასახლებაში არასამთავრობო ორგანიზაციას – „ჩვენ ჯანსაღი მომავალი" – წარმოადგენს, ნათლად იცნობს აქაურ ბრობლემებს. „ზაფხულში ამ დასახლებაში არის გაუსაძლისი მდგომარეობა. ხალხს არ აქვს სასმელი წყალი. გზა კი ხედავთ, რა მდგომარეობაშია და წარმოიდგინეთ, ზაფხულის სიცხეში აქ რა პირობები იქნება. რაც შეეხება ტრანსპორტს, არის მხოლოდ კერძო ტრანსპორტი, მუნიციპალური ტრანსპორტი აქ არ დადის. საბავშვო ბაღი არის, სკოლაც, რომელიც 1000 ბავშვზეა გათვლილი. არის ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი. რაც შეეხება პოლიკლინიკას, ქირით არიან ერთ-ერთ კოტეჯში განთავსებული. არ არის არცერთი ბანკის ფილიალი. რამდენიმე თვეა, „ლიბერთი" ბანკმა დადგა ბანკომატი," — განმარტავს ჩვენთან საუბარში ქალბატონი ნუნუ.

„P.S. ფოტო" (ლიკა ჩახუნაშვილი) ©

ლიანა დილიმაშვილი ცხინვალიდან ახალგორის რაიონში სოფელ იკოთში ჩაასახლეს 90-ან წლებში. აგვისტოს ომის შემდეგ კი ახალგორიდან წეროვანის დასახლებაში მოუხდა გადმოსვლა. ცხოვრება დევნილობიდან დევნილობაში და „კოტეჯური" პრობლემები.

„მე ვარ ახალგორის რაიონი, სოფელ იკოთიდან. იქ ვცხოვრობდი, მაგრამ სად ვარ ახლა, თქვენც კარგად ხედავთ. იმ ავადსახსენებელმა აგვისტოს ომმა გამანადგურა.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

მაგისტრატი სასამართლო – რეფორმის წარმატებული ნაბიჯია!

ინტერვიუ ბაღდათის მაგისტრატ მოსამართლე, ციცინო მოსიძესთან

საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია, რომ 2005-2006 წლებში დაწყებული სასამართლო რეფორმის ფარგლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით რაიონული (საქალაქო) სასამართლოები საქმეებს განიხილავენ პირველი ინსტანციით. ამავე პერიოდიდან შემოღებულია მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტი, რომლის მთავარი ამოცანაა, მცირემნიშვნელოვანი დავების სწრაფად და გამარტივებულად განხილვა და გადაწყვეტა.
მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტის შემოღების შემდეგ, რეფორმის ფარგლებში, ეტაპობრივად განხორციელდა სასამართლოთა გაერთიანება. ქუთაისის სასამართლოს შემადგენლობაში ამჟამად სამი მაგისტრატი მოსამართლე მუშაობს — ბაღდათის, ტყიბულისა და წყალტუბოს.
ჩვენი საგაზეთო მასალების ციკლში წარმოგიდგენთ მათთან ინტერვიუებს და გაგაცნობთ იმ წარმატებებსა თუ სირთულეებს, რაც მაგისტრატი მოსამართლეების საქმიანობის ნაწილია.

ამჟამად ჩვენი გაზეთის სტუმარია ბაღდათის მაგისტრატი მოსამართლე, ქალბატონი ციცინო მოსიძე.

ამონაწერი მოსამართლის CV-დან

ციცინო მოსიძე – 1996 წელს დაამთავრა ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.
1997-1999 წლებში მუშაობდა საქართველოს აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის ბაღდათის ინსტიტუტის იურიდიულ მეცნიერებათა კათედრაზე მასწავლებლად, ხოლო შემდეგ, 2005 წლამდე — ამავე კათედრის დოცენტად.
2002-2005 წლებში, პარალელურად, იყო ადვოკატთა კოლეგიის, ხოლო შემდეგ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი და მუშაობდა ბაღდათის რაიონის ადვოკატურაში ადვოკატად.
2005 წელს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების შემდეგ დაინიშნა ბაღდათის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ.
2006-2007 წლებში მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.
2008 წლიდან დაკისრებული ჰქონდა ბაღდათის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება.
2010 წლის 1 მარტიდან დაევალა მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.
2010 წლის 22 სექტემბრიდან ახორციელებს მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილებას ბაღდათის მუნიციპალიტეტში. ამავდროულად, არის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.

კანონის განმარტება:

რას ნიშნავს მაგისტრატი მოსამართლე, რა უფლებამოსილება გააჩნია მას? როგორ საქმეებს იხილავს?

კანონის შესაბამისად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში შეიძლება, შედიოდნენ მაგისტრატი მოსამართლეები. მაგისტრატი მოსამართლე ეწოდება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. მაგისტრატი მოსამართლე საქმეს განიხილავს ერთპიროვნულად, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მაგისტრატი მოსამართლეები სამოქალაქო სამართლის კუთხით პირველი ინსტანციით განიხილავენ: ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 2000 ლარს; უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეებს, გარდა შვილად აყვანის, აგრეთვე გამარტივებული წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის, გამარტივებული წესით გადახდის და ქონების უპატრონოდ ცნობის საქმეებისა, თუ მოთხოვნის ან ქონების ღირებულება არ აღემატება 2000 ლარს. ასევე, განიხილავენ საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებს, გარდა შვილად აყვანის, მშობლის უფლების ჩამორთმევის, მამობის დადგენისა და განქორწინების საქმეებისა, თუ მეულლეებს შორის არსებობს დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე.

ადმინისტრაციული სამართლის კუთხით მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ შემდეგ საქმეებს: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით; სასამართლოში წარდგენილი შესაბამისი ოქმის საფუძველზე, სასამართლოს მიერ განსახილველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით; სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხის თაობაზე; სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის თაობაზე; საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავასთან დაკავშირებით; მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე ბრძანების გამოცემის თაობაზე. შესაბამისი ფსიქიატრიული დაწესებულების ან სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართვის საფუძველზე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ.

სისხლის სამართლის კუთხით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის კომპეტენციაა ადამიანის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვისა და იძულებით ღონისძიებასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების გამოტანა, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამომძიებლის ან/და პროკურორის უკანონო ქმედების გამო საჩივრის გადაწყვეტა, ასევე ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

დიალოგი

— ქალბატონო ციცინო, თქვენ, როგორც მაგისტრატი მოსამართლე, როგორ აფასებთ, რამდენად ეფექტურია ამ ტიპის სასამართლო, რა უპირატესობები აქვს მას ადგილობრივი მოსახლეობისთვის?

— მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტი შემოღებულია მცირემნიშვნელოვანი დავების სწრაფად და გამარტივებულად განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით. საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი სამოქალაქო საქმეების დაჩქარებული წესით განხილვას. ამ თვალსაზრისით მიმაჩნია, რომ საკმაოდ ეფექტურია ამ ტიპის სასამართლო, ვინაიდან მხარეები მოწადინებულნი არიან, სწრაფად გადაწყდეს მათი საქმეები.

უპირატესობას რაც შეეხება, არის ის, რომ სახელმწიფო ბაჟის ოდენობა მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეებზე ყველა ინსტანციის სასამართლოში შეადგენს კანონით დადგენილი ოდენობის ნახევარს, რაც უფრო ხელმისაწვდომს ხდის სასამართლოსთვის მიმართვას დავის გადასაწყვეტად. ამასთან, საქმეები სწრაფად და მარტივად განიხილება, ასევე – ტერიტორიულადაც ხელმისაწვდომია, ვინაიდან მაგისტრატი მოსამართლე თავის უფლებამოსილებას ახორციელებს იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც განმცხადებელი (მოსარჩელე) ცხოვრობს.

საქართველოში მოქმედებს მართლმსაჯულების ელექტრონული პროგრამა. ელექტრონულ პროგრამაში პირველი ინსტანციის ყველა სასამართლოა ჩართული, მათ შორის – ბაღდათის მაგისტრატი სასამართლოც. ეს პროგრამა მთელი საქართველოს მასშტაბით მუშაობს. მიმდინარეობს გარე მომხმარებლების, კერძოდ ბანკების, ადვოკატების და სხვადასხვა უწყებების ჩართვა ამ პროექტში, რითაც უფრო ხელმისაწვდომი გახდება მხარეებისათვის სასამართლო. მათ შეეძლებათ სახლიდან, ოფისებიდან გაუსვლელად ნახონ თავიანთ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, რადგან საქმის მასალები ატვირთულია ელექტრონულად.

სასამართლოებში ასევე მიმდინარეობს სასამართლო სხდომების აუდიო ჩაწერა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია საქმის სწრაფად განხილვისათვის. ადრე ხელით იწერებოდა სხდომის ოქმები და მხარეებს გარკვეული შენიშვნები ჰქონდათ ოქმებთან დაკავშირებით. დღეს ეს პრობლემა არ არსებობს. ერთობლიობაში ყველაფერი ეს ხელს უწყობს საქართველოში სწრაფი, ხარისხიანი და გამჭვირვალე სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებას. ამჟამად ბაღდათის მაგისტრატ სასამართლოში არ მიმდინარეობს სხდომების აუდიო ჩაწრა, მაგრამ დაგეგმილია და უახლოეს მომავალში დამონტაჟდება სპეციალური აპარატურა და მოხდება სასამართლო სხდომების აუდიო ჩაწერა.

— როგორ შეაფასებდით სასამართლოს მიმართ მოსახლეობის ნდობის საკითხს, რამდენად გენდობათ და აქვს სამართლიანობის იმედი?

— მიმაჩნია, რომ სასამართლოს მიმართ მოსახლეობის ნდობა გაზრდილია. ამაზე მეტყველებს საქმეთა გაზრდილი რაოდენობა. ვფიქრობ, რომ მოსახლეობის ნდობის გაზრდა დამოკიდებულია სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სტაბილურობაზე, მოსამართლის დამოუკიდებლობასა და ობიექტურობაზე, ასევე – მომსახურების ხარისხზე. ძალიან ბევრია შემთხვევა, როდესაც მხარეები არ ასაჩივრებენ მათ საწინააღმდეგოდ მიღებულ გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა, რომ ამის სრული შესაძლებლობა გააჩნიათ. მე ვფიქრობ, რომ ასეთი ფაქტები მოქალაქეების სასამართლოსადმი ნდობით არის გამოწვეული. ანუ მხარეებს ეჭვი არ ეპარებათ მოსამართლის ობიექტურობაში, მიუკერძოებლობასა და კომპეტენტურობაში.

— წელიწადში, დაახლოებით, რამდენი საქმის განხილვა ხდება, რა საკითხებზე მოგმართავენ ძირითადად?

— წელიწადში, დაახლოებით, 50-60 საქმის განხილვა ხდება ბაღდათის მაგისტრატ სასამართლოში. ეს მაჩვენებელი სტაბილური არ არის და მერყეობს. შეინიშნება საქმეთა მატების ტენდენცია. გაზრდილია აგრეთვე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა რაოდენობა და გასულ წელს მიაღწია 215-ს. წინა წლებთან შედარებით, გაზრდილია აგრეთვე – აღკვეთის ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების რაოდენობა. მოქალაქეები ბაღდათის მაგისტრატ სასამართლოს მომართავენ, ძირითადად, უდავო წარმოებისა და საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებზე.

— რა მიგაჩნიათ თქვენს საქმიანობაში ყველაზე დიდ სირთულედ, რა პრობლემებს აწყდებით?

— მოსამართლის საქმიანობა თავისთავად რთულია, უდიდესი პასუხისმგებლობა გვაკისრია როგორც მოქალაქეების, ასევე – სახელმწიფოს წინაშე. მოსამართლეს ხომ სახელმწიფოს სახელით გამოაქვს გადაწყვეტილებები. მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს კანონიერი, ამასთან – სამართლიანი.

პრობლემებს რაც შეეხება, გეტყვით, რომ მე, როგორც მაგისტრატ მოსამართლეს, რაიმე სირთულე და პრობლემა არ მაქვს, მაგრამ თუ ამ საქმიანობას დავამატებთ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში საქმიანობას, გეტყვით, რომ ერთადერთი პრობლემა შეიძლება იყოს იმ დროის სიმცირე, რასაც ვატარებ ოჯახთან და შვილებთან ერთად.

მიმაჩნია, რომ მოსამართლეთა დატვირთულობიდან გამომდინარე, თავისუფალი დროის სიმცირის პრობლემა არსებობს დღეს საქართველოში. ვფიქრობ, რომ ამ პრობლემის მოგვარება მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდით იქნება შესაძლებელი.

— რამდენად წარმატებულად მიგაჩნიათ სასამართლო რეფორმის ეს ნაწილი — მაგისტრატი სასამართლოების არსებობა — და, პრაქტიკიდან გამომდინარე, რაიმე ცვლილების ან დახვეწის საჭიროებას ხომ არ ხედავთ?

— მთლიანად სასამართლო რეფორმა მიმაჩნია წარმატებულად, მათ შორის – მაგისტრატი სასამართლოების არსებობა. ვფიქრობ, რომ გაამართლა ამ პროექტმა — რა მიზნით და რა ამოცანების გადასაწყვეტადაც შეიქმნა ეს ინსტიტუტი, სრულად განხორციელებულია. მთავარი ამოცანა იყო მცირემნიშვნელოვანი დავების სწრაფად და გამარტივებულად განხილვა და გადაწყვეტა, რაც მიღწეულია. თითქმის ყველა დავა ერთ პროცესში მთავრდება, რადგან განიხილება დაჩქარებული წესით, სწრაფად და მარტივად.

— ქალბატონო ციცინო, ჩვენი საუბრის დასასრულს, მინდა, მოსამართლეთა დანიშვნის ვადებზეც გკითხოთ. თქვენთვის ცნობილია, რომ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის ნორმა კონსტიტუციურად ამოქმედდა, თუმცა პარლამენტი აპირებს სამწლიანი გამოსაცდელი ვადის დაწესებას მოსამართლისთვის. როგორია თქვენი აზრი ამ საკითხზე?

— ვფიქრობ, რომ მოსამართლეებისათვის სამწლიანი ვადის დაწესება სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპს ეწინააღმდეგება. მით უფრო, იმ მოსამართლეების მიმართ, რომლებმაც 10 წელი იმუშავეს მოსამართლედ და არ ჩაუდენიათ სისხლის სამართლის დანაშაული და არ დაურღვევიათ ეთიკის ნორმები. სამწლიანი საგამოცდო ვადის დაწესება ასეთ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ სასამართლოს საქმიანობაში უხეში ჩარევა იქნება.

ზოგადად, საგამოცდო ვადის დაწესება შეიძლება, გამართლებული იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი პირველად შეუდგება პროფესიულ საქმიანობას, სანამ მას სრულყოფილად არა აქვს ჩამოყალიბებული პროფესიული უნარ-ჩვევები, მისი თეორიული ცოდნა პრაქტიკაში არ აქვს გამოყენებული. ამდენად, ჩემთვის გაუგებარია, რას ემსახურება სამწლიანი საგამოცდო ვადის დაწესება პრაქტიკოსი მოსამართლისათვის, რომელმაც 10 წელი კეთილსინდისიერად იმუშავა. სავსებით შესაძლებელია, მოსამართლის განვლილი მოღვაწეობის ერთიანი შეფასებით მოხდეს მისი უვადოდ დანიშვნა. მოსამართლის საქმიანობის შემფასებელია თვით მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომელთა სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრება გათვალისწინებულია კანონმდებლობით. სწორედ ზემდგომი სასამართლო ამოწმებს მოსამართლის გადაწყვეტილების ხარისხსა და დასაბუთებულობას, რომელიც მან მიიღო თავისი შინაგანი რწმენით, საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით. ვფიქრობ, რომ მოსამართლეებზე მონიტორინგის დაწესება მოსამართლეთა საქმიანობას საფრთხეს შეუქმნის და მოსამართლე გადაწყვეტილების მიღების დროს იფიქრებს, მოეწონებათ თუ არა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მონიტორინგის ჩამტარებელ პირებს. მიმაჩნია, რომ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა სასამართლოს დამოუკიდებლობის მთავარი გარანტი იქნება, რადგან ხელისუფლების ცვალებადობა არ უნდა ახდენდეს სასამართლოზე ზეგავლენას.

ნატო გუგელაძე

პროექტს ახორციელებს შპს „ბესთკომპანი ჯორჯია"
ელფოსტა: bestcompany_z@yahoo.com

ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲘ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐ — ᲐᲮᲐᲚᲒᲝᲠᲔᲚᲗᲐ „ᲣᲡᲐᲮᲔᲚᲝ, ᲣᲡᲢᲐᲢᲣᲡᲝ ᲓᲐ ᲣᲒᲕᲐᲠᲝ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ ᲣᲬᲝᲓᲔᲡ

მე-3 გვერდიდან

ჩემი შვილებიანად გამოვიქეცი და წამოვედი. მეუღლე არ წამოვიდა, იქ დარჩა, მაგრამ ორი წლის წინ გარდაიცვალა, აქ გადმოვასვენეთ. ჩემს შვილებს გახედვაც არ უნდათ ახალგორისკენ, იმდენად დიდი ტკივილი გადაიტანეს. მე საბუთი მაქვს და ხანდახან დავდივარ ჩემს სახლში. ბოლოს ახალ წელს ვიყავი. იკოთში სულ ქართველები ცხოვრობენ, შევიწროვებით, რა ვიცი, არავის არ ავიწროებენ. ჩემი გოგო საზღვარგარეთ წავიდა, ბავშვებს ვერ აუთავდა და რა ექნა? შვილიშვილებს მე ვხედავ. ასე შემოვრჩი აქაურ სახლკარობას. კომუნალური გადასახადი ერთი წელია, არ გადამიხდია, არ მაქვს და რა გადავიხადო? გაზის გადასახადი იმდენი იქნება, რომ არ ვიცი. ვერ ვიტყვი, რომ აქ ადვილია ცხოვრება. ზამთარში საშინელი ქარია და ზაფხულში იწვის ყველაფერი. აფრიკის სინდრომი გვჭირს უკვე.“

ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ბალაშვილი ყველა იმ მოგვარებად და მოუგვარებად საკითხებზე გვესაუბრა, რაც ამ დასახლების მცხოვრებლებს აწუხებთ.

„ჩვენი მცხოვრებლების 95%-ს აქვს დევნილის სტატუსი. დევნილის სტატუსი არ აქვს, მაგალითად, იმ ადამიანს, ვინც 2008 წლის შემდეგ მოიყვანა ცოლი. ყოველ სამშაბათს აქ მოდიან იურისტები და ვცდილობთ, რაღაცნაირად დავეხმაროთ ამ ხალხს. ჩვენ ვართ ახალგორის მუნიციპალიტეტი და ვალდებული ვართ, კარგი ადვოკატირება გავუწიოთ ამ ხალხს. რაც შეეხება გაზის დავალიანებას, გაგზავნილია ჩვენი მხრიდან წერილი ენერგეტიკის მინისტრთან,

„ᲠᲔ.ᲤᲝᲢᲝ“ (ᲚᲘᲙᲐ ᲩᲐᲮᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ) ©

ᲬᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ

კახა კალაძესთან და ველოდებით პასუხს. სამომავლოდ კი, ყოველ ზამთარში გვექნება კვოტა და ყველა დევნილს ეცოდინება, რამდენი უნდა დახარჯოს. ძალიან ბევრ ოჯახს აქვს დავალიანება, ზოგს 800 ლარი. ეს მართალია, არ განულდება, მაგრამ შეძლებისდაგვარად გადანაწილდება. ვიწყებთ ასევე წყლის დაქსელვას, რაც ნახევარ მილიონზე მეტი ჯდება. მთავარი გაკეთებულია, წყალი შემოყვანილია და 2014 წელში დასრულდება ოჯახებში შეყვანა.

საკრებულოს თავმჯდომარე კოტეჯების დამტკიცების თემასაც შეეხო და განმარტა, რომ ადამიანს, რომელსაც არ აქვს კერძო საკუთრებაში დამტკიცებული კოტეჯი, ის სახელმწიფო საკუთრებას ვერ გაყიდის. წეროვანის დასახლება, როგორც ადგილობრივები განმარტავენ, სამ ნაწილად იყოფა: ზემო, შუა და ქვემო ნაწილად. შედარებით საცხოვრებლად კარგ ადგილად ზემო ნაწილი ითვლება და, შესაბამისად, იქ ის მოსახლეობა დაასახლეს, რომლებიც ახალგორში ცენტრალურ ადგილას ცხოვრობდა. დამისამართება კი შემდეგნაირად არის, მაგ: მეთხუთმეტე რიგის ბინა №5 და ა.შ.

რაც შეეხება არჩევნების თემას, ეს საკითხი, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანი და გაურკვეველი ჩანს. როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ გვითხრა, „უსახელო, უსტატუსო და უგვარო ქალაქი, რომელსაც მხოლოდ დასახლება უწოდეს, არჩევანს აკეთებს მცხეთის გამგებლის და დეპუტატის სასარგებლოდ. სხვა მხრივ, აქაურ მაცხოვრებლებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვთ. ამის შემდეგ მცხეთა ნიშნავს ადგილობრივი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულს. ჩვენი ლეგიტიმაცია ჰაერშია გადმოკიდებული, არჩევნები აქ არის მტკივნეული თემა. დევნილებმა აირჩიეს მცხეთის დეპუტატი. ნებისმიერი არჩევნები, გარდა საპრეზიდენტოსი, წინააღმდეგობაში მოდის სხვა არჩევნებთან.“

როდესაც საკრებულოს თავმჯდომარე თავის კაბინეტში მსგავს საკითხებზე გვესაუბრებოდა, კარებში განერვიულებული ქალბატონი შემოიჭრა.

„თუ სამართლიანობის აღდგენა გინდათ, ჩვენგან, ლენინგორიდან(ახლანდელი ახალგორი) დაიწყეთ ამ სამართლის აღდგენა, უპატრონოდ რომ ვართ დარჩენილები. ბევრმა რუკაზეც არ იცის, სად არის ლენინგორი. ერთი შვილი მყავს, უკანონოდ ამომიღეს დევნილთა სიიდან და დახმარებასაც ვერ ვღებულობთ. საჯაროდ ვამზეურებდი ამ დამპალი მთავრობების შეცდომებს და ამიტომ შემიწყვიტეს სტატუსი. სამართალს ვეძებთ და ვერ ვიპოვეთ სამართალი. ქართული, რუსული თუ ამერიკული ოცნება არ ვიცი მე. ვითხოვ დევნილის სტატუსის აღდგენას,“ — შემოგვჩივლა ლენა ღუნაშვილმა.

როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ განმარტა, ამ ქალბატონს სტატუსი შეუჩერდა მხოლოდ იმიტომ, რომ თავის კოტეჯში ჩაწერილი ჰყავს გათხოვილი შვილი, თავისი შვილებით და, აქედან გამომდინარე, სამინისტრომ ეჭვქვეშ დააყენა ქალბატონი ლენას დევნილობის სტატუსი.

ფაქტია, რომ საქართველოს ასეულობით მოქალაქეს უწევს კოტეჯური ცხოვრება, სადაც წელიწადის ყველა სეზონი დასამახსოვრებელია. ქარი, წვიმა, აფრიკული გაუდაბნოება და ა.შ. მაშინ, როცა ვიმეზობელი მცოცავი მავთულხლართებით ისევ მოიწევს ჩვენსკენ და საკუთარ მიწა-წყალზე დევნილი ქართველები „ფორმა ცხრით“ დადიან.

ᲚᲘᲙᲐ ᲩᲐᲮᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მასალა მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“-ს და სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ქსელის ორგანიზებით, მედიატორის ფარგლებში.

ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲐ

ინტერვიუ ფსიქოლოგ სოფი ხარატთან

საკითხი, რომელიც საინტერესოა, ავტომატურად, განმარტებას საჭიროებს. ამჯერად ფსიქოლოგ სოფი ხარატთან ვისაუბრებთ იმ თემაზე, რომელიც დიდი მასების ინტერესს და შფოთს იწვევს.

ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚ ᲐᲡᲐᲙᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲒᲘᲜᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ, ᲘᲡᲔᲕᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ - ᲒᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲙᲘ, ᲐᲜ ᲓᲐᲣᲜᲘᲡ ᲡᲘᲜᲓᲠᲝᲛᲘ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲓᲔᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲡ ᲛᲙᲕᲓᲠᲐᲓ?!

ადამიანის სექსუალობა და მისი მიმართულებები „ახალი თემა“ არაა, მაგრამ არის რაღაც ახალი, რაც არ ვიცით და ხშირად გვეზარება, მასზე რაიმე ახლის წაკითხვა, რადგან სანამ რამეს გავიგებთ, მომზადებული ვართ იმისთვის, რომ ვთქვათ: „ჩვენ არ მოგვწონს“.

ზედმეტი კითხვების გარეშე ეთანხმებიან ბევრჯერ იმას, რომ, მაგალითად, ჰომოსექსუალობა ცუდია და, აქედან გამომდინარე, განსჯას არ ექვემდებარება. არსებობს უამრავი კითხვა, რასაც დღემდე იკვლევენ ფსიქოლოგიური მეცნიერები და არა მარტო ისინი. გასული წლის 17 მაისიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ არც წლევანდელი „ფერადი 17“ იქნება ნაკლებად სკანდალური და აჟიტირებული. მკითხველებს დააინტერესებს სექსუალობის ფსიქოლოგიის საკითხები, რაზედაც სოფი ხარატი გაგვცემს პასუხებს:

— რა არის სექსუალური ორიენტაცია?

— სექსუალური ორიენტაცია არის გრძელვადიანი, ემოციური, რომანტიული, სექსუალური და სიყვარულით სავსე დამოკიდებულება სხვა ადამიანის მიმართ. ეს არის ადამიანის იმ ოთხი სექსუალობის ერთი განმარტება, რომლისგანაც იგი შედგება. დანარჩენი სამი არის ბიოლოგიური სქესი, სქესის ფსიქოლოგიური მიმართულება და სოციალურ-სქესობრივი როლი.

ჩვეულებრივ, არსებობენ სამი სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანები: ჰომოსექსუალები, ანუ როდესაც ერთი და იმავე სქესის ადამიანებს მოსწონთ ერთმანეთი. ჰეტეროსექსუალები, როდესაც განსხვავებული სქესის ადამიანებს მოსწონეთ ერთმანეთი და ბისექსუალები — მათ ორივე სქესი მოსწონთ.

— რა იწვევს სექსუალური ორიენტაციის აჩევას?

— მართლაც, ჩვენთვის ყველაზე მეტად საინტერესოა, რა იწვევს ადამიანის სექსუალური ორიენტაციის არჩევას. ამაზე სრული და ზუსტი პასუხი ჯერ არავის დაუდგენია.

მაგრამ არსებობს მოსაზრებები: შეიძლება, ეს იყოს გენი, შეიძლება, იყოს ბავშვობის ტრავმა, ან გავლენა და ეს შეიძლება, იყოს ჰორმონალური გავლენა ადამიანზე.

მეცნიერები ამბობენ, რომ ერთი რამ ცხადია: ადამიანის ორიენტაცია ყალიბდება ძალიან ადრეულ ასაკში და ამაში დიდ როლს თამაშობს სოციალური გარემო, ფსიქოლოგიური გარემო და ბიოლოგიური მდგომარეობა.

— არის თუ არა სექსუალური ორიენტაცია არჩევადი?

— არა. იგი ყალიბდება ადამიანის სურვილის მიუხედავად, რადგან კვლევების მონაწილეებმა აჩვენეს, რომ ძალიან ბევრი ადამიანი ცდილობს მის შეცვლას, მაგრამ უშედეგოდ.

— არის თუ არა ჰომოსექსუალობა სულიერი ან ემოციური დაავადება?

— ამაზე ცალსახა პასუხია: არა! ფსიქიატრები, ფსიქოლოგები, ექიმები ბოლო 35 წლის განმავლობაში იკვლევენ ამ ფაქტს და მათ არ აქვთ არცერთი დამადასტურებელი ინფორმაცია, რაც ავადმყოფობას დაადასტურებდა.

— რატომ ჟღერდება ხმამაღლა სექსუალობის საკითხი?

— American Psychological Association (APA) და მისი 135000 თანამშრომელი დღემდე იკვლევს ამ თემას და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა, თუ რატომ საუბრობენ ჰომოსექსუალები ხმამაღლა მათ სექსუალობაზე? იმიტომ, რომ მათ სჭირდებათ მიღება საზოგადოებისგან, რადგან, როგორც ვთქვით, მათი ორიენტაციის არჩევა არ იყო მათზე დამოკიდებული და მათ ამის შეცვლა არ შეუძლიათ! როცა ისინი აღმოაჩენენ, რომ არიან განსხვავებული ორიენტაციის მქონეები, ძალიან ხშირად აქვთ გაუცხოების შიში, მიუღებლობის შიში, რომ მათ ოჯახი, მეგობრები, მთელი სოციალური სამყარო ხელს კრავს და ამიტომ ისინი ცდილობენ, გაბედონ და თავიდანვე ნათელი გახადონ მათი ამ საკითხისადმი დამოკიდებულების გაგება.

— რა არის ტრანსექსუალების პრობლემა და საიდან იწყება მისი შემჩნევა?

გაგრძელება **მე-6 გვერდზე**

„სამზარეულო საზღვრებს გარეშე" წყალტუბოში

15 მაისს წყალტუბოს შვეიცარიის ელჩის მოადგილე ფლორიან გუბლერი სტუმრობდა. შვეიცარიული არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტის დასრულებასთან დაკავშირებით, ბატონი გუბლერი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს, ზაზა ძნელაძეს შეხვდა და წყალტუბოში მიმდინარე პროექტებით, სამომავლო გეგმებით, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით დაინტერესდა. მან განაცხადა, რომ პირველად არ არის წყალტუბოში, ეს მისთვის ერთ-ერთი საყვარელი ადგილია საქართველოში და მოხარულია იმით, რომ სწორედ აქ განახორციელა შვეიცარიულმა ორგანიზაციამ ასეთი საინტერესო პროექტი.

პროექტს საფუძველი 2014 წლის თებერვლიდან ჩაეყარა და 15 მაისს დასრულდა. იგი განხორციელდა შვეიცარული არასამთავრობო ორგანიზაცია „სამზარეულო საზღვრებს გარეშე" თაოსნობით, ქართულ პარტნიორ ორგანიზაციასთან „კულტურისა და მენეჯმენტის ლაბორატორია"-სთან ერთად. პროექტის დაფინანსება უზრუნველყო ორგანიზაციამ „მზარეულები საზღვრებს გარეშე" და შვეიცარიის საელჩომ საქართველოში. მზარეულების კურსის მუშაობაში 30-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა, მათ შორის – დევნილებმაც. მათ შეისწავლეს როგორც ქართული, ისე უცხოური პოპულარული კერძების მომზადება და შეიძინეს მზარეულების მუშაობისათვის საჭირო ძირითადი უნარ-ჩვევები; შეისწავლეს არა მარტო კერძების მომზადება, არამედ საჭმლის შენახვა, ჰიგიენა, სამზარეულოს ყოველდღიური დაგეგმვა, საუზმე და ა. შ. კურსის შედეგად უკვე ექვსი ადამიანი დასაქმდა კიდეც.

პროექტის განხორციელებაში ორგანიზაციებს დიდი დახმარება გაუწია წყალტუბოს სანატორიუმის „Tskaltubo Spa Resort" (ყოფილი სამხედრო სანატორიუმი) დირექტორმა ანდრო ჯიშკარიანმა, რომელმაც სასტუმროს სასადილო დაუთმო სკოლას და საკუთარ თანამშრომლებსაც აამაღლებინა კვალიფიკაცია.

კურსის დახურვასა და კურსდამთავრებულებისათვის დიპლომების გადაცემის ცერემონიალს ესწრებოდნენ შვეიცარიის ელჩის მოადგილე ფლორიან გუბლერი. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ზაზა ძნელაძე და თავად პროექტის ორგანიზატორები — კულინარიული სკოლის დირექტორი როდამ ხიდაშელი, შვეიცარიული ორგანიზაცია „სამზარეულო საზღვრებს გარეშე" დამფუძნებელი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი ტომ გფელერი. ორგანიზაცია „კულტურისა და მენეჯმენტის ლაბორატორია", ხელმძღვანელი თამარ ჯანაშია.

ეს იყო მეტად საინტერესო პროექტი, რომლის მეორე ეტაპი მომავალი წლის იანვრიდან დაიწყება და მასში მონაწილეობის მიღების მსურველი უკვე საკმაოდ ბევრია.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ზაზა ძნელაძემ კმაყოფილება გამოხატა შვეიცარიული ორგანიზაციის მიერ პროექტში წყალტუბოს ჩართვის გამო და აღნიშნა, რომ სულ მალე წყალტუბო თავისი ინფრასტრუქტურით, ბუნებრივი სიმდიდრით, პროგრესული საზოგადოებით გვერდით დაუდგება ევროპული დონის საკურორტო ქალაქებს და მაშინ კიდევ უფრო დიდი სიხარულით შეხვდება მსგავსს საქმიან შემოთავაზებებს.

როლანდ ხოჯანაშვილი

სექსუალური ორიენტაციის ფსიქოლოგია

ინტერვიუ ფსიქოლოგ სოფი ხარატთან

მე-5 გვერდიდან

— ნებისმიერ ტრანსექსუალს აქვს მსგავსი გამოცდილება, რომ იგი ბავშობაშივე ამჩნევდა, რომ რაღაც ისე არ იყო, როგორც უნდა ყოფილიყო, იგი თითქოს სხვის სხეულში გრძნობდა თავს. თამაშის დროს ისინი ირჩევენ საპირისპირო სქესის როლებს: ბიჭები მაკიაჟს იკეთებენ, კაბებს იცვამენ, თოჯინებით თამაშობენ და, პირიქით, გოგონები ბიჭების სათამაშოებით და მანერებით „კავდებიან". ჯერ არ დადგენილა, თუ რა შეიძლება ამის მიზეზი იყოს. მეცნიერები ამბობენ, რომ ეს დიდი ჰორმონალური გავლენაა და ჯერ კიდევ მუცლად ყოფნის დროს ყალიბდება. სხვები ამბობენ, რომ ეს არის ფსიქოსომატური და სოციალური გავლენა. მთავარი და მნიშვნელოვანი ფაქტორია დედის დამოკიდებულება ფეხმძიმობის დროს ნაყოფის მიმართ, როცა ძალიან ბევრი დედა ოცნებობს ბიჭზე და მის ოცნებებში უკვე ხედავს შვილს, როგორც ბიჭს, და ამ დროს იბადება გოგო, ან პირიქით. ეს არის ყველაზე დიდი შეცდომა, რაც შეიძლება დედამ შვილს „აჩუქოს".

— არის თუ არა ჰომოსექსუალობა გენეტიკური?

— მეცნიერები იკვლევდნენ ამ ფაქტორსაც, მაგრამ ამის დამადასტურებელი დაზუსტებული კვლევები არ მოიპოვება.

— საუბრობენ ინტერსექსუალიზმზე, რას გულისხმობს ეს ტერმინი?

— აგრეთვე არსებობს Intersexualität, რომელიც ასეთ ფენომენს გულისხმობს: ადამიანის ორგანიზმში ქრომოსომების არასწორი რაოდენობა უზრუნველყოფს ადამიანის სქესის დაუდგენლობას. გერმანიაში მიღებული იქნა კანონი, რომ ამ ადამიანებს გარკვეულ ასაკში თვითონ შეეძლებათ, აირჩიონ სქესი, რაც აუცილებლად ქირურგიულ ჩარევას საჭიროებს. ეს იურიდიულად განხილულია, როგორც პირადი არჩევანის უფლება, რადგან ადამიანი ორივე სქესით იბადება.

— აგრესიაზე რას გვეტყვით, რომელიც ლგბტ საზოგადოების მიმართ ვლინდება?

— ინფორმაციულობა საჭიროა იმისთვის, რომ მცდარი დასკვნები არ გამოვიტანოთ იმ ადამიანების შესახებ, რომლებსაც რეალურად არ ვიცნობთ და ისიც საყურადღებოა, რომ არავინაა დაზღვეული იმისგან, რის მიმართაც აგრესიას გამოავლენს. არსებობს არგუმენტები, რაც საჭიროა იმისთვის, რომ ამ საკითხს გაგებით მოვეკიდოთ. ეს იგივეა, რომ ადამიანი დაიბადოს ყრუ ან ბრმა და ამის გამო დავსაჯოთ, ან არ მივიღოთ.

მე, როგორც ფსიქოლოგი, აქ ძალიან დიდ ახსნა-განმარტებას ვერ მივცემ თემას, რადგან ზემოთ მოხსენებული ყველა ინფორმაცია, დაახლოებით, მაინც ხსნის, თუ რატომ არ უნდა გამოიხატოს ადამიანების მიმართ აგრესია.

რაც შეეხება საქართველოს პრობლემას, უნდა იყოს თუ არ, ლგბტ-თა უფლებები დაცული, გიპასუხებთ: წარმოიდგინეთ, რომ თქვენი შვილი ჰომოსექსუალია და როგორც ზემოთ ვთქვი, მასზე ეს აბსოლუტურად არ იყო დამოკიდებული და იმის გამო, რომ მის უფლებებს კანონი არ იცავს, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, მისი ორიენტაციის გამო, აგრესიით გაუსწორდეს და ყოველ დღე სახლში ნაცემი მოვიდეს!

— ლგბტ ადამიანების შეფასება, ზოგადად, ასეთია: ისინი არიან პოზიტიური ადამიანები...

— პროფესიიდან გამომდინარე, ხშირად მაქვს ურთიერთობა ადამიანებთან და მაქვს მოსაზრება, რომ ჰომოსექსუალები გაცილებით პოზიტიურები არიან, ვიდრე ჰეტეროსექსუალები. ისინი არავის აძალებენ, იყვნენ მათნაირები და არავის განიკითხავენ იმის გამო, თუ რატომ ვერ შეძლეს მათი ორიენტაციის სწორად არჩევა. მსგავსი ძალადობა შესაძლოა, ფსიქოლოგიურ აშლილობამდე მივიდეს და ეს არ იქნება მათი სექსუალური ორიენტაციის ბრალი, არამედ — მხოლოდ იმ ადამიანების დანაშაული, რომლებმაც მათ არსებობა აუკრძალეს!

ბოლოს მინდა ვთქვა: 10 წლის წინ თბილისის უპატრონო ბავშვთა სახლში ვმუშაობდი და მახსოვს: მოიყვანეს დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვი, რომელსაც გულის მანკიც ჰქონდა და მშობლებმა იგი, როგორც მკვდარი, ისე გამოაცხადეს. არასდროს დამავიწყდება იმ მტირალი დედის სახე, რომელსაც სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, რადგან იგი „სირცხვილით" სახლში ვერ წაიყვანდა შვილს, მერე მითხრეს, ერთ-ერთი მშობელი ნარკოტიკის მომხმარებელი იყო და ეს კიდევ უფრო ესირცხვილებოდათ. განსხვავებული ორიენტაცია ადრეულ ასაკში რომ დგინდებოდეს, ისევე როგორც დაბადებისთანავე – გულის მანკი, ან დაუნის სინდრომი, რამდენი დედა გამოაცხადებდა შვილს მკვდრად?!

როლანდ ხოჯანაშვილი

სკოლის დღიური

მეშვიდესკოლელები „ჩაის გარშემო" გერმანულად მსჯელობდნენ

Rund um den Tee — ჩაის გარშემო

გოეთეს დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ტრადიციულად, ყოველწლიურად ტარდება როგორც აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისე ქალაქის სხვადასხვა სკოლაში. წელს ქუთაისის მე-7 საჯარო სკოლამ გოეთეს დღეებს საინტერესო ღონისძიება მიუძღვნა, რომელიც ჩაის სახლ „ფოე-ფოეში" გაიმართა.

წარმოდგენა სკოლის გერმანული ენის პედაგოგის, ნანა შავგულიძისა და სკოლის აღსაზრდელების თაოსნობით მოეწყო. მასში სკოლასთან არსებული სტუდიის, „პიკასოს ბიჭების", მუსიკოსებიც მონაწილეობდნენ. ბავშვებს დახმარება ნატალი პატარიძემაც გაუწია.

ღონისძიებას ქუთაისის სხვადასხვა სკოლების გერმანული ენის პედაგოგები და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ენის და საზღვარგარეთის ლიტერატურის კათედრის პროფესორები: ნანული კაკაურიძე, ნუგეშა გაგნიძე, ირინა შიშინაშვილი, მანანა პაპავა და მარინა კუჭუჯიძე ესწრებოდნენ. სპეციალურად მოწვეულ სტუმართა რიგებში ისხდნენ – დალი ფაჩუაშვილი და დოდოლა გოდუაძე. მრავალფეროვან ღონისძიებაში მე-9, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ, რომლებმაც სტუმრებს ჩაის ხელოვნების შესახებ გერმანულ ენაზე მოუთხრეს, ასწავლეს მისი მომზადების სხვადასხვა ხერხი და ჩაისთან დაკავშირებული სხვადასხვა ქვეყნების ტრადიციაც გააცნეს. ღონისძიებას ალამაზებდა ვიოლინოზე შესრულებული კომპოზიციები, ახალგაზრდების გუნდური და ინდივიდუალური ვოკალური ნაწარმოებები, რომლებიც ბავშვებმა ზემოთხსენებული სტუდიის ვოკალის პედაგოგის – ქეთი დარახველიძის დახმარებით მომზადეს. დარბაზში ისმოდა გიტარაზე და ფორტეპიანოზე აჟღერებული ცნობილი ჰანგები.

ღონისძიების დასასრულს, მეშვიდე სკოლასთან არსებული სტუდიის „პიკასოს ბიჭების" ხელმძღვანელმა, გია ტაბიძემ, გიტარის თანხლებით, გერმანულენოვანი სიმღერა შეასრულა, რამაც დამსწრეთა აღფრთოვანება და დიდი მოწონება დაიმსახურა. „მადლობას ვუხდი მოსულ სტუმრებს დაფასებისთვის და განსაკუთრებულ მადლობას – ამ ბავშვებს, რომლებმაც, დამერწმუნებით, ეს დღე ნამდვილად გაგვილამაზეს. წელს მინდოდა, რაიმე განსხვავებული ღონისძიება გამეკეთებინა გოეთეს დღეებთან დაკავშირებით და მე მგონი, ეს გამოგვივიდა კიდეც, ყველას ძალიან დიდი მადლობა," – განაცხადა ამ ღონისძიების ორგანიზატორმა და მეშვიდე სკოლის გერმანული ენის პედაგოგმა **ნანა შავგულიძემ.**

„პირველად ვიღებ ასეთ ორიგინალურ ღონისძიებაში მონაწილეობას და, ცოტა არ იყოს, დაძაბული ვიყავი, მაგრამ ჩემი მოლოდინები გამართლდა. ამ ღონისძიებამ მომცა დიდი გამოცდილება და ერთი სამახსოვრო, ძალიან ლამაზი დღე," – **თიკო მერკვილაძე,** მე-11კლასის მოსწავლე.

ღონისძიების დასასრულს სიმბოლურად გაიჭრა ტორტი, მოსულმა სტუმრებმა წარმოთქვეს სიტყვა, ახალგაზრდებს მისცეს რჩევები და გზა დაულოცეს მომავალ კარიერაში. ერთი სიტყვით, ჩაის სახლ „ფოე-ფოეში" დიდი ჟრიამული წარმატებით დასრულდა.

მარიამ ხურციძე
psnews.ge

ვაკანსია

ვაკანსია ჟურნალისტის პოზიციაზე თბილისსა და საქართველოს რეგიონებში

ახალი მედიის ასოციაცია სათანამშრომლოდ იწვევს ჟურნალისტებს, ფოტოგრაფებს, მოქალაქე-რეპორტიორებს და ბლოგერებს თბილისსა და საქართველოს რეგიონებში: კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, გურია, აჭარა, სამეგრელო, სვანეთი.

სამუშაო აღწერილობა — ინფორმაციის მოძიება და დამუშავება; აქტუალურ საკითხებზე ვიდეო, აუდიო და ფოტო მასალების მომზადება (გადაღება, ჩაწერა, მონტაჟი);

მოთხოვნები: კომპიუტერული საოფისე პროგრამებისა და ინტერნეტის კარგი ცოდნა; ჟურნალისტად მუშაობის გამოცდილება (სასურველია); დამოუკიდებლად და გუნდურად მუშაობის უნარი და მოტივაცია; ენთუზიაზმი.

მუშაობის დაწყებამდე შერჩეული პირი მონაწილეობას მიიღებს ქართველი და უცხოელი პროფესიონალების თეორიულ და პრაქტიკულ ტრენინგებში.

ახალი მედიის ასოციაცია (New Media Association) 2014 წლის 27 მარტს დაფუძნდა. ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან: ლელა ინასარიძე (sknews.ge), გელა მთივლიშვილი (ick.ge; icmm.ge; icn.ge), ნატო გუბელაძე (psnews.ge), ელისო ჯანაშია (tspress.ge), საბა წიწიკაშვილი (qartli.ge).

ახალი მედიის ასოციაციას დაგეგმილი აქვს განახორციელოს შემდეგი საქმიანობა: ადამიანის უფლებების დაცვა და პოპულარიზაცია; მედიის თავისუფლების და ჟურნალისტთა უფლებების დაცვისაკენ მიმართული საზოგადოებრივი კამპანიების ორგანიზება; ჟურნალისტიკის პროფესიული სტანდარტების განვითარება; ახალი მედიის საშუალებებით ობიექტური და მრავალფეროვანი შინაარსის მქონე პროდუქციის შექმნა და გავრცელება; ახალი მედიის ფინანსურად მდგრადი და ინსტიტუციონალური განვითარება; სასწავლო კურსების ორგანიზება როგორც დამწყები ჟურნალისტებისთვის, ასევე პროფესიონალებისთვის, მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა — 2014 წლის 20 მაისი. დაინტერესებულმა პირებმა უნდა გამოგზავნონ CV და სამოტივაციო წერილი (არაუმეტეს 100 სიტყვისა, დასახელებაში მიუთითონ თანამდებობის სათაური). მისამართზე: newmediaassociation@gmail.com

არასრული განაცხადები არ განიხილება. გასაუბრებისთვის დაუკავშირდებიან მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:
ახალი მედიის ასოციაცია
https://twitter.com/newmediaGeorgia

კვირის ჰოროსკოპი

ვერძი: მოახერხებთ ყველაზე რთული საქმის დაწყებას. ყველა საკითხი გადაწყდება თქვენს სასარგებლოდ. შესაძლებელია, თქვენ გქონდეთ რთული საუბარი უფროსებთან, რომელიც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს თქვენი რეპუტაციის გამყარებას.

კურო: სიცრუე და არაპირდაპირობა არ გიშველით – ამით მხოლოდ მეტად ავნებთ საკუთარ თავს. შეამოწმეთ იმ პრეპარატების ვარგისიანობის ვადა, რომლის გამოყენებასაც აპირებთ, არავითარ შემთხვევაში არ გადააჭარბოთ დოზა.

ტყუპები: დიდი ყურადღება უნდა გამოიჩინოთ ჯანმრთელობისადმი. მოერიდეთ დაუფიქრებელ შეპირებებს, არ აჰყვეთ თქვენს სურვილებს. უფრო მეტი ყურადღება მიაქციეთ ბავშვებს.

კირჩხიბი: ეს დღეები ჩაივლის ეფექტურად, თუ თქვენ მიმართავთ თქვენს პოტენციალს იმ საქმეების გადაწყვეტაზე, რომლებისთვისაც საჭიროა ფიზიკური დატვირთვა.

ლომი: უმჯობესია დაისვენოთ. საქმეებში ნუ ელით წარმატებებს. არაა გამორიცხული, რომ გაგიცრუებთ იმედს ახლობლების მოქმედებები.

ქალწული: არსებობს შანსი ემოციური სტრესის მიღების და თუ თქვენ მოგიწევთ სახელმწიფო ინსტანციებში მიმართვა, იყავით თავშეკავებულნი.

სასწორი: საქმეებში უნდა გამოიჩინოთ დიდი ყურადღება, ვინაიდან ელემენტარულმა შეცდომამ, შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური დანაკარგები. მიმდინარე საქმეები იქნება არც თუ ისე რთული, მაგრამ, სამაგიეროდ შემოსავლიანი.

მორიელი: თქვენ მიიღებთ სიამოვნებას ნებისმიერი ფიზიკური დატვირთვისგან – ასე თქვენ მოიხსნით დაგროვილ დაძაბულობას.

მშვილდოსანი: პლანეტების მდებარეობა ხელს უშლის ყველა საქმეების ნორმალურად მიმდინარეობას. გამოიჩინეთ მეტი თავშეკავება, ყველაფერი დამოკიდებული იქნება მასზე. არახელსაყრელი დროა საქმეებში აქტიურობისათვის და მიზნის მიღწევისათვის.

თხის რქა: გადადეთ ნებისმიერი ფინანსური პრობლემების მოგვარების საკითხი, ნუ მოაწერთ ხელს ნურავითარ საბუთებს.

მერწყული: თუ თქვენ გყავთ მეგობრები, რომლებთანაც თქვენ გარკვეული მიზეზების გამო იჩხუბეთ და არ გინახიათ დიდი ხანია, დაპატიჟეთ ისინი სტუმრად. უფრო მეტი დრო უნდა დაუთმოთ საკუთარ თავს.

თევზები: შეეცადეთ, ობიექტურად შეაფასოთ სიტუაცია, გამოიჩინეთ ტაქტი და გულკეთილობა. წარმატებული აღმოჩნდება ხელისუფლების ორგანოებში მიმართვა.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. მდინარე. 5. კროლი; 6. სვე. 8. მეი. 9. კასპი. 11. ომიკრონ.
შვეულად: 1. ბროლი. 2. რობ. 3. გომბეშო. 4. იფსილონ. 7. ამური. 10. სიო.

ესსეების კონკურსი „დემოკრატია ჩემი ფანჯრიდან“

„სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის განვითარების ინსტიტუტი“ აქტივობა „მრავალფეროვანი დემოკრატიის“ ფარგლებში აცხადებს ესსეების კონკურსს 15-დან 25 წლამდე ახალგაზრდებისთვის. კონკურსის პირობითი სახელწოდებაა: „დემოკრატია ჩემი ფანჯრიდან“.

კონკურსის თემატიკა შემოიფარგლება საქართველოში სამოქალაქო აქტივობების, ადამიანის უფლებების და დემოკრატიის სხვა გამოწვევებით. კონკურსის მიზანია საქართველოს ქალაქებში, რაიონებსა და სოფლებში მიმდინარე სამოქალაქო ინიციატივების და დემოკრატიული პროცესების ახალგაზრდული ხედვის და შეფასების გაცნობა საზოგადოებისთვის.

ესსე უნდა იყოს არაუმეტეს 2000 სიტყვისა, „wordis“ დოკუმენტის სახით.
ესსეს გამოგზავნის ბოლო ვადაა 20 ივნისის 20 საათი.

პირველ ეტაპზე კომპეტენტური ჟიური შემოსული საკონკურსო ესსეებიდან შეარჩევს 20 საუკეთესოს. ისინი გამოქვეყნდება ორგანიზაციის „ფეისბუქის“ გვერდზე და საინფორმაციო პორტალზე www.psnews.ge. ხოლო საბოლოოდ, მათგან სამ საუკეთესოს აირჩევს ინტერნეტ-მომხმარებელი laik-ის საშუალებით. გამარჯვებულ ავტორებს გადაეცემათ სერთიფიკატები და სამახსოვრო პრიზები. გარდა ამისა, გაივლიან სტაჟირებას საინფორმაციო ინტერნეტ პორტალზე www.psnews.ge.

მონაწილეებმა ესსეები გამოგვიგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე: csmdigeorgia@gmail.com
(Subject-ში მიუთითეთ - ესსეების კონკურსი)

საკონტაქტო პირი: მაგდა ჩინიჯიშვილი 557 915992

როგორ განვათავსოთ განცხადება გაზეთ „P.S.“-ში („პოსტსკრიპტუმში“)

უფასოდ
ქვემოთ მოცემულ კუპონზე

განცხადებების მიღება ხდება კერძო პირებიდან

დაბეჭდვის თარიღი დამოკიდებულია კუპონის მიწოდების თანმიმდევრობაზე
კუპონი უნდა ჩაბარდეს
რედაქციაში - ქ. ქუთაისი, რუსთაველის ქუჩა 37ა;
სავაჭრო ცენტრ „ფუდმარტში“(ყოფილი „პოპული“) - წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“, რუსთაველის 141.
არ მიიღება კანონთან შეუსაბამო, შეურაცხმყოფელი, უხამსი, ეროტიკული შინაარსის განცხადებები.
განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში

მცირე განცხადების კუპონი

აღნიშნე კატეგორია

უძრავი ქონება
☐ გავყიდი
☐ ვიყიდი
☐ გავაქირავებ

ავტო-მოტო
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი

სამსახური
☐ ვეძებ სამუშაოს

სხვადასხვა
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი
☐ სხვა

☐ ცხოველები

განცხადების შინაარსი

ტელ: >>

სახელი და გვარი (მხოლოდ რედაქციის ცნობისათვის)

კონტაქტი (მობილური ან სტაციონალური)

ელექტრონული ფოსტის მისამართი

☐ **არ ვარ განცხადების შინაარსთან დაკავშირებული კერძო მეწარმე**
☐ ვაცხადებ თანხმობას, ფირმის მიერ გამოყენებულ იქნას განცხადებაში აღნიშნული მონაცემები

ხელმოწერა გარკვევით

რედაქციას აქვს უფლება, კუპონზე შევსებული ერთჯერადი განცხადება დაბეჭდოს კუპონის ჩაბარების დღიდან 14 დღის განმავლობაში
კუპონი (ერთჯერადი) არის ძალაში მისი გამოქვეყნების დღიდან 3 კვირის განმავლობაში.

19.05.2014



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

ქრისტიან-დემოკრატი **გიორგი ახვლედიანი** პირველად **სულიკო ფუტკარაძემ** ამოიცნო, შემდეგ ნონა გიორგაძემ.

რას დაარქმევდით?

გიორგი გაბუნია

ირაკლი ალასანია

„ხვანცალა ბატონებით“ შეპყრობილი.
შაქრო გაბელაშვილი

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

კროსვორდი

თარაზულად: 3. მეთხუთმეტე ბერძნული ასო. 5. ფინური ელექტრო-სატელეფონო ფირმა. 6. ჯარი, ლაშქარი ძველად. 8. მდინარე ჩილეში. 9. მიტო კახურად. 11. ბრიტანეთის ერთ-ერთი პროვინცია.
შვეულად: 1. ფრანკთა მეფე ... მოკლე. 2. დიდი ჩაქუჩი. 3. ლუდის სახეობა. 4. მზის სისტემის პლანეტა. 7. ვენესუელას პრეზიდენტი ... ჩავესი. 10. მოლუსკის სახეობა.



ბავშვის რომელი დაავადებების დროს არის რეკომენდებული იპოთერაპია – ცხენით ჯირითით მკურნალობა

ეს უჩვეულო მეთოდი ეხმარება ადამიანებს, განიკურნონ ისეთი დაავადებებისგან, რომლებიც რთულად ექვემდებარება მკურნალობას. კეთილშობილი ცხოველები კურნავენ სულსა და სხეულს...

ცხენისა და ადამიანის ურთიერთობას უძველესი ისტორია აქვს. ის მუდმივად ადამიანთან ერთად იყო შრომაში, ომის დროს თუ ყოველდღიურობაში, მაგრამ, გარდა დამხმარისა, ცხენი არის მგრძნობიარე თანამგზავრი, რომელთან ურთიერთობაც ამშვიდებს და რწმენას მატებს ადამიანს. სწორედ ამას ეფუძნება ალტერნატიული მედიცინის ერთ-ერთი სახეობა — **იპოთერაპია.**

იპოთერაპია, თავისი არსით, სამკურნალო ფიზკულტურის ერთ-ერთი ფორმაა, რომელსაც ერთვის ურთიერთობა ჭკვიან, ლამაზ და უკეთილშობილეს ცხოველთან.

უკვე მრავალი წელია, **იპოთერაპია** გვევლინება სომატური და ფსიქიკური დაავადებების მქონე ადამიანების რეაბილიტაციის აღიარებულ საშუალებად. ეს მეთოდი შესანიშნავი საშუალებაა პოსტ-ტრავმული რეაბილიტაციის დროსაც.

ცხენზე ჯირითი აიძულებს მხედარს, აამოქმედოს პრაქტიკულად ყველა კუნთი. როდესაც ცხენზე ზიხართ, გიწევთ წონასწორობის მუდმივად გაკონტროლება. ეს კი, თავის მხრივ, ზურგის, ტანისა და მთლიანად საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის სინქრონიზირების აუცილებლობას ქმნის.

სამკურნალოდ ჯირითს ნიშნავენ:

საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაავადებების დროს;

სიყრუის დროს;

გონებრივი ჩამორჩენილობის დროს (დაუნის სინდრომი და სხვ.);

სოციალური ადაპტაციის დარღვევების, ნევროზების, დეპრესიების დროს;

ონკოდაავადებების დროს;

ოსტეოქონდროზის და რადიკულიტის დროს.

იპოთერაპია შეუცვლელი საშუალებაა სოციალური რეაბილიტაციისთვის. ცხოველზე მზრუნველობა, მისი მოვლა და გამოკვება ეხმარება ადამიანს კომუნიკაციის განვითარებაში და ჩუქნის მას უამრავ დადებით ემოციას.

ცხენებთან ურთიერთობას დიდი სარგებელი მოაქვს იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დარღვევები აქვთ. ხოლო ცერებრარული დამბლისა და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის **„საცხენოსნო თერაპია"** ფასდაუდებელია.

ცხენით გასეირნების ზრდასრული მოყვარულებიც დიდ სარგებელს მიიღებენ **იპოთერაპიის** სეანსის ფარგლებში. ცხენის სხეულის ტემპერატურა 1,5-2 გრადუსით მაღალია ადამიანის ტემპერატურაზე და ეს ფაქტორი დამატებით ფიზიოთერაპიულ ეფექტს იძლევა. ცხენის ზურგის კუნთების მოძრაობა ათბობს და ამასაჟებს მხედრის ფეხების კუნთებს, აძლიერებს სისხლის მიმოქცევას ქვედა კიდურებსა და მენჯის არეში. ეს ყოველივე აუმჯობესებს, ზოგადად, ორგანიზმის სისხლით მომარაგებას.

ცხენით ჯირითი მრავალმხრივ სასიკეთო ზეგავლენას ახდენს: ცხენის მოძრაობების მიმართ ყურადღება ავარჯიშებს რეაქციას, გამოიმუშავებს სიტუაციის შეფასების გამოცდილებას, ხოლო ცხოველის მიმართ ნდობა შემდეგ ადამიანებზე ვრცელდება. ცხენთან მჭიდრო ურთიერთობის დროს შეუმჩნევლად გადის სტრესი, უკვალოდ ქრება შინაგანი დაძაბულობა, სულში კი ჰარმონია ისადგურებს.

თათია ბეჟიტაშვილი
marao.ge

კითხვები, რომლებზეც 6 წლის ბავშვი უნდა პასუხობდეს

6 წლის ბავშვი უკვე საკმაოდ დიდია იმისათვის, რომ გაცნობიერებულად პასუხობდეს მარტივ და არც ისე მარტივ შეკითხვებსაც.

სპეციალისტებმა შეადგინეს შეკითხვების სია, რომლებზეც სასურველია, რომ ყველა 6 წლის ბავშვი პასუხობდეს:

— რამდენი წლის არის მამა (დედა, და, ძმა)? როდის აქვთ მათ დაბადების დღე?

— სად მუშაობს მამა (დედა)?

— რა ზომა ფეხი გაქვს?

— რა უნდა გავაკეთოთ, თუ თითი გაგვეჭრა?

— რა უნდა გააკეთო, თუკი თავი დაარტყი და გული გერევა?

— როგორ უნდა დავრეკოთ ტელეფონზე?

— დავუშვათ, ბანაობ (მდინარეში, ტბაში, ზღვაში), რა შემთხვევაში უნდა ამოხვიდე დაუყოვნებლივ წყლიდან?

— სად არ უნდა მიირთვა ნაყინი?

— როგორ უნდა მოიქცე მაგიდასთან?

— რა შემთხვევაში იკბინება ფუტკარი? რა განსხვავებაა ფუტკარსა და კრაზანას შორის?

— რისი ჭამა შეიძლება, როცა მუცელი გტკივა?

— რისი ჭამა არ შეიძლება, თუკი კბილი გტკივა?

— როგორ უნდა გავთალოთ სწორად კარტოფილი (ახალი და ძველი)? როგორ გავთალოთ სტაფილო?

— რად უნდა წავიღოთ უვარგისი საჭმლის ნარჩენები?

— როგორ მოვამზადოთ ჩაი, რამდენი კოვზი შაქარი უნდა გავუკეთოთ ერთ ფინჯან ჩაის?

— რა ღირს ერთი პური (თეთრი ან შავი)?

— შეიძლება თუ არა ძაღლის ისევე დაბანა, როგორც კატის? თუ შეიძლება, მაშინ როგორ?

— სახლში გაზის სუნია, როგორ უნდა მოვიქცეთ?

— როგორ გავწმინდოთ ფეხსაცმელი? გავრეცხოთ პერანგი?

— სად არის უფრო სქელი ყინული? — წყალსაცავის ნაპირზე თუ სიღრმეში?

— ძირს წყლის გუბეა, როგორი ჩვრით უმჯობესია მისი გაწმენდა — მშრალით თუ სველით?

— რატომ არ შეიძლება, დამთვალიერებლებმა აჭამონ ცხოველებს ზოოპარკში?

— როგორ უნდა მოვიქცეთ სტუმრად ყოფნისას?

— რა უყვარს ყველაზე მეტად მამას (დედას)?

— რატომ არ შეიძლება მშენებლობის სიახლოვეს თამაში?

— რამდენ წუთში მიდიხარ სკოლაში ფეხით (ტრანსპორტით)?

— შენი მისამართი (სახლის, ტელეფონის ნომერი).

— როგორ უნდა მოვუაროთ სახლის მცენარეებს?

— როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ელექტრული მოწყობილობა ნაპერწკლებს ყრის და სახლში დამწვრის სუნია?

— როგორ უნდა მოვიქცეთ, თუკი მინის ჭურჭელი (ჭიქა, ვაზა) გადმოვარდა და დაიფშვნა?

— ბურთი ხიდიდან გადავარდა, როგორ უნდა მოვიქცეთ?

— ძაღლმა გიკბინა, როგორ მოიქცევით?

— როგორ გავავლოთ სახაზავის გარეშე სწორი ხაზი?

marao.ge

ქუთაისში კინო დაბრუნდა

საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერითა და ქუთაისის ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით, ქუთაისში კინო დაბრუნდა.

კინომ ბინა კვლავ „სულიკოში" დაიდო, სადაც ახალგაზრდული ცენტრიც დაფუძნდა. ახალგაზრდული ცენტრის პიარ-მენეჯერის, ნატალი პატარიძის განცხადებით, მათ დიდი ხანია აწუხებდათ ის ფაქტი, რომ ქუთაისში კინო არ იყო, ამიტომ გადაწყვიტეს კინოთეატრ „სულიკოსთვის" პირვანდელი დანიშნულება დაებრუნებინათ.

„სულიკომ" გახსნის დღეს პირველ ფილმსაც უმასპინძლა. ცენტრში შეკრებილ საზოგადოებას ფილმი „გრძელი ნათელი დღეები" ფილმის რეჟისორმა ნანა ექვთიმიშვილმა წარუდგინა.

ფილმი „გრძელი ნათელი დღეები", 90-იანი წლების დასაწყისის თბილისის ამბებს აღწერს. როდესაც ქვეყანაში ომი და უკიდურესი გაჭირვება იყო. ფილმი გადმოგვცემს ორი მეგობრის, ეკას და ნათიას, თოთხმეტწლიან მეგობრობას, იმ საზოგადოებაში, სადაც მამაკაცი დომინირებს, გოგონები კი რთული პრობლემების წინაშე დგანან. მიუხედავად თბილისში არსებული მდგომარეობისა, მეგობრები მაინც ახერხებენ ადამიანური ურთიერთობების შენარჩუნებას.

ფილმის რეჟისორი აღნიშნავს, რომ ფილმში გადმოცემული ამბები მისი ბავშვობის დროინდელი სინამდვილეა, რომლის დავიწყებაც არ სურდა და რომელიც ფილმის სახით გადმოსცა.

კინოთეატრ „სულიკოში" ფილმების ჩვენება სისტემატიურად გაიმართება.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

MEGA CREDIT
ფულადი გზავნილები
ქუთაისი, რუსთაველის 141. (0 431) 27 52 45; ჭავჭავაძის 55/2. (0 431) 27 67 10

პრესკონფერენციები, ბრიფინგები, პრეზენტაციები
PSPRESS-კლუბი

ქუთაისი, რუსთაველის 37ა (პრესის სახლი). 599 10 77 94

წიგნების მაღაზია ქიმერიონი
qimerioni.ge
ყოველგვარი ფასნამატის გარეშე შეიძინეთ:
• ქართული თუ უცხოური ლიტერატურა;
• კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები;
• მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული საბავშვო შემეცნებითი და გასართობი წიგნები;
• სამეცნიერო ხასიათის გამოცემები;
• ენციკლოპედიები;
• ლექსიკონები;
• ჟურნალ-გაზეთები
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „ფუდმარტი" (ყოფილი „პოპული"), წიგნების მაღაზია „ქიმერიონი".
ტელეფონი: 790 927 927; (0 431) 274 474